საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„გრუზინ“

„გრუზინ“ (Грузин), რუსულ ენაში დამკვიდრებული ქართველების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინი. მომდინარეობს აღმოსავლურ ენებში (კერძოდ, სპარსულში, არაბულსა და სირიულში) გავრცელებული ქართველების აღმნიშვნელი სახელწოდებისაგან – „გურჯი" (სპარს.), „ჯურჯი" (არაბ.) და „გურზი" (სირ.). მეცნიერთა აზრით, შესაბამისი აღმოსავლური სახელწოდებებიდან წარმოქმნილი და უკვე XIV ს. დასასრულს რუს. საისტორიო წყაროებში ნახსენები ქართველების აღმნიშვნელი ტერმინი „გურზი" თანდათანობით ტრანსფორმირდა „გრუზად" და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ტერმინებად – „გ." და „გრუზია" (საქართველო). „გ-ის“ სპარს.-არაბულიდან მომდინარეობის შესახებ პირველად აღნიშნა პლ. იოსელიანმა 1844. იგივე მოსაზრება გამოთქვა ფრანგმა ქართველოლოგმა მ. ბროსემაც თავისსავე გამოცემულ „საქართველოს ისტორიის" (1858; ფრანგულ ენაზე) შესავალში. რუს. „გ-ის" აღმოსავლური („გურჯ", „ჯურზ", „გურზ") წარმომავლობის შესახებ წერდა ნ. მარიც 1905 გამოქვეყნებულ ნაშრომში. საგანგებოდ ჩატარებული მეცნ. კვლევა-ძიების შედეგად იმავე დასკვნამდე მივიდნენ ს. ჯანაშია, გ. წერეთელი, კ. წერეთელი, იუსტ. აბულაძე და გ. პაიჭაძე. დღეისათვის არსებული მოსაზრება ზემოაღნიშნული რუს. ტერმინის (ისევე როგორც ახ. ევროპული Georgian და Georgian) სპარს.-არაბ.-სირიული წარმომავლობის შესახებ გაზიარებულია სხვა ევრ. ქართველოლოგებისა და აღმოსავლეთმცოდნეების მიერაც (გ. დეეტერესი, კ. თუმანოვი, დ. [ლანგი, ჟ. გარიტი, შ. კანიუიე). ტერმინი "გ." (ისევე როგორც „გრუზია") რუს. ენის მეშვეობით გავრცელდა როგორც უკრაინულ და ბელორუსულ, ასევე დანარჩენ სლავურ ენებშიც. ეს ტერმინები იხმარება ყოფილ სსრკ-ის შემადგენლობაში შემავალ ზოგიერთ არასლავურ რესპუბლიკასა და მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში (იაპონია, ისრაელი და სხვ.).

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე ი., ტერმინ „გურჯის" ეტიმოლოგიისათვის, აკად. ნ. მარის სამეცნიერო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1934; ბ რ ო ს ე მ., საქართველოს

ისტორია, ნაწ. 1, ტფ., 1895; წ ე რ ე თ ე ლ ი გ., საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის, კრ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური ტერმინოლოგია, თბ., 1993; წ ე რ ე თ ე ლ ი კ., „ქართველისა" და „საქართველოს" აღმნიშვნელი ტერმინები არამეულსა და ებრაულში, იქვე; ჯ ა ნ ა შ ი ა ს., თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, შრომები, ტ. 3, თბ., 1959; И о с е л и а н и П. И., Различные наименования грузин, «Журнал Министерства внутренних дел», Тфл., 1844, VI; М а р р Н. Я., Крещение армян, грузин и аланов святым Григорием (арабская версия), «Записки Вост. отделения императорского Русск. археол. об-ва», т. 16, СПб., 1905; П а й ч а д з е Г. Г., Название Грузии в русских письменных исторических источниках, Тб., 1989;B r o s s e t M., Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX siècle, SPb., 1858.

გ. ლორთქიფანიძე